საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი
უკუკავშირის ცხრილი
დეკემბერი, 2020

	სრულად მოხდა ასახვა
	ნაწილობრივ მოხდა ასახვა
	არ მოხდა ასახვა

	საკითხი	კომენტარი	ასახვა	განმარტება
	ზოგადი	დოკუმენტი გადატვირთულია ისეთი ტექსტებით, რომლებიც არ შეიცავს კლიმატის ცვლილებისა და სათბური აირების შემცირების მიმართ სამთავრობო პოზიციისა და ხედვის შესაბამის შინაარსს და არ რაიმეს მატებს მას.	აისახა	
	ზოგადი	გამოქვეყნებული მასალები არ მოიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის სიცხადის, გამჭვირვალობისა და ნათლად გაგებისთვის.	არ აისახა	„სიცხადე გამჭვირვალობა და ნათლად გაგება“ კონვენციის მიერ დამკვიდრებული ტერმინებია და დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია ეხმიანება აღნიშნულ გზამკვლევს
	ზოგადი	მიგვაჩნია, რომ დოკუმენტის მე-2-ე თავის (ეროვნული გარემოებები და ინსტიტუციური მოწყობა) 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 ქვეთავებში სუსტადაა ასახული შესაბამისი სექტორების მიხედვით ეროვნული პოლიტიკა, სტრატეგია და სამიზნე მაჩვენებლები, რაც ქმნის სირთულეებს სათბური აირების ემისიების შემცირების მიზნით დასახული ზოგიერთი მიზნის აღქმაში,	არ აისახა	სათბურის აირების შემცირების კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებლები განხილულია 4 თავში, აღნიშული თავის მიზანი არის არა სექტორების მიხედვით ეროვნული პოლიტიკა,

		არადამაჯერებელს ხდის მათ. იგივე მიზეზები ეჭვის ქვეშ აყენებს ზოგიერთი მიზნის რეალობას და ამბიციურობას.		სტრატეგია და სამიზნე მაჩვენებლების ჩვენება, არამედ კლიმატის ცვლილების პროცესში ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი საკითხების ასახვა
	ზოგადი	იმდენად, რამდენადაც კლიმატის სამოქმედო გეგმა უნდა დაეფუძნოს ამ დოკუმენტით დასახულ მიზნებს, აუცილებლად მიგვაჩნია მეტი კონკრეტიკა 52-ე, 54-ე და 56-ე მუხლებში;	არ აისახა	აღნიშნული საკითხები სრულადაა ასახულია კლიმატის სამოქმედგო გეგმაში, შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებებით
	ზოგადი	მიგვაჩნია, რომ ოპტიმალურთან შედარებით სუსტად გამოიყურება მე-5 თავი (ადაპტაცია), რომელიც მომავალი 10 წლის განმავლობაში მხოლოდ კვლევებსა და შეფასებებს გეგმავს და არ გულისხმობს აქტივობას კვლევების შედეგების მიხედვით კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიების განხორციელების თვალსაზრისით.	აისახა	
	ზოგადი	ამ დოკუმენტზე ხელმომწერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ისეთი მაღალის სტატუსის დოკუმენტში , როგორიც „ ქვეყნის ეროვნულად განსასღვრული წვლილია“ - გათვალისწინებულ უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ემისიების შემცირების ღონისძიებები.	არ აისახა	დოკუმენტში მოხდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ემისიების შემცირების ღონისძიებების ასახვა, ვინაიდან ქვეყანა არ ფლობს ინფორმაციას ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე, ასევე არ აქვს შესაძებლობა განახორციელოს შესაბამისი პროექტები
	ზოგადი	ჩვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაგვაჩნია მყარი რწმენა, რომ კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან	აისახა	

	გამკლავება შეუძლებელია საზოგადოებისა და მთლიანად მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერის გარეშე. ასეთი მხარდაჭერის არ არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი სამთავრობო გადაწვეტილების რეალიზაციისათვის საჭიროზე 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი რესურსების მობილიზების შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი იქნება სასურეველი შედეგების მიღწევა. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ მასში არ არის აქცენტირებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და საერთო მიზნის მისაღწევად საზოგადოების მობილიზების საკითხები.		
ქვეთავი 1.1 მიზნები, მუხლი 1	1990 წლის დონესთან შედარებით 2030 წლისათვის სათბური აირების ემისიების 35%-იანი კლება არ არის ამბიციური და ეს პროცენტული მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს. .	არ აისახა	განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილით საქართველომ დაადგინა უფრო ამბიციური სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც მის წინამორბედს აღემატება, უპირობო სამიზნე მაჩვენებელს - 7%-ით, ხოლო პირობით სამიზნე მაჩვენებლს 10%-17%-ით.
ქვეთავი 1.1 მიზნები, მუხლი 2	პირველ მუხლთან დაკავშირებული ჩვენი სურვილების გათვალისწინების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს მე-2-ე მუხლით დასახულ მიზნებში;	არ აისახა	განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილით საქართველომ დაადგინა უფრო ამბიციური სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც მის წინამორბედს აღემატება, უპირობო სამიზნე

			მაჩვენებელს - 7%-ით, ხოლო პირობით სამიზნე მაჩვენებლს 10%-17%-ით.
ქვეთავი 1.1 მიზნები, მუხლი 12	ვთვლით, რომ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის საადაპტაციო ღონისძიებები მოითხოვს მეტ კონკრეტიკას. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ შესაბამისი ღონისძიებები აისახოს კლიმატის სამოქმედეო გეგმასა და სხვა შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში.	არ აისახა	კლიმატის სამოქმედო გეგმა მოიცავს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის შერბილების ნაწილს, ადაპტაციის ნაწილი დაიფარება ეროვნული ადაპტაციის გეგმაში, რომელზეც სამინისტრო მუშაობს UNEPთან ერთად.
თავი 2, ქვეთავი 2.3, მუხლები 38 და 39	აუცილებლად მიგვაჩნია ამ მუხლებში აისახოს სახელმწიფოს ვალდებულება სამედიცინო მომსახურების მიწოდებისა და ჯანდაცვის სამოქმედო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით	არ აისახა	კომენტარი სცილდება დოკუმენტის ფორმატს
თავი 2, ქვეთავი 2.4 - გეოგრაფიული პროფილი	ა) ვთვლით, რომ მაღალმთიანი ტერიტორიების მოწყვლადობის ხაზგასმა არ არის საკმარისი; ბ) კლიმატის ცვლილების გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია სანაპირო ზოლის, არიდული, სემიარიდული, სემიჰუმიდური და სხვა მოწყვლადი ეკოსისტემების რისკების მართვაზე ვალდებულებების აღება; გ) არასაკმარისად მიგვაჩნია სახელმწიფო ვალდებულება, საქართველოს ტყეების ემისიების შთანთქმისა და ადაპტაციის უნარის (შესაძლებლობების) მხოლოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ვთვლით, რომ სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს	ნაწილობრივ აისახა	ა) ნაწილბრივ აისახა, ტექსტი დაკორექტირდა სადაც მოწყვლადობის გარდა ასახულია ადაპტაციის გეგმების შემუშავება და მისი განხორციელების ვადები. ბ) ა კომენტარის შესაბამისად გეგმა გულისხმობს რისკების მართვასაც, ასევე, ტექსტი პარა 63 მოიცავს ადაპტაციის შესაძლებლობების განვითარებას რაც გულისხმობს ღონისძიებების გატარებას. გ) დოკუმენტით ემისიების

		და განახორციელოს ამ პოტენციალის მნიშვნელოვნად გაზრდის ღონისძიებები.		შთანთქმის პოტენციალი უნდა გაიზარდოს 10%-ით, ხოლო ადაპტაციის უნარი შენარჩუნდეს შეცვლილი კლიმატის პირობებში
	ზოგადი, მუხლი 51, 53	ამ დოკუმენტის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებად გაცხადებულია, რომ ის წარმოადგენს კლიმატის სამოქმედო გეგმის საფუძველს და ძირითადი პარამეტრების განმსაზღვრელს, ამ თავში კი როლები შეცვლილია და სამიზნე მაჩვენებლების წყაროდ წარმოდგენილია კლიმატის სამოქმედო გეგმა (მუხლი 51, 53). ასეთი რეალობა ნამდვილად არ ქმნის სასიამოვნო სურათს და აუცილებელია ამავე დოკუმენტში დააფიქსირდეს საფუძველიც და სამიზნე მაჩვენებლებიც.	არ აისახა	კომენტარი არ ასახავს რეალობას, როგორც დოკუმენტით იკითხება ndc ადგენს csap მიზნებს
	ზოგადი, მუხლი 52, 54, 56	ისეთი მაღალი სტატუსის დოკუმენტისათვის, როგორიც ქვეყნის ეროვნულად განსაზღვრული წვლილია (იგი ამავდროულად კლიმატის სამოქმედო გეგმის საფუძველიცაა), სრულიად არასაკმარისად მიგვაჩნია, რომ შესაბამისი სექტორიდან ემისიების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებები შემოიფარგლება „მხარდაჭერისა“ და „წახალისების“ ზოგადი ფრაზებით; ვთვლით, რომ როგორც ქვეყნის კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია მეტი კონკრეტიკა და დასახული მიზნების საჯარო სამსჯავროზე გამოტანა.	არ აისახა	დოკუმენტში გაწერილია მთლიანი ვალდებულება ციფრებში, ასევე, კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლები სექტორებზე, რომლებზეც ქვეყანა იღებს პასუხისმგებლობას, მხარდაჭერა-წახალისებს აღნიშნულია მხოლოდ იმ სექტორებზე, რომელთა შერბილების პოტენციალი დაბალი და ამ ეტაპზე რთულად მისაღწევია ქვეყნისათვის
	ზოგადი, მუხლი 57	ა) ერთმანეთთან შეუსაბამოდ გვესახება 57 -ე და 42-ე მუხლების შინაარსი.	არ აისახა	57-ე საკითხი არის 42 პარაში გამოთქმული ხედვის

		ბ) არამბიციურია 2030 წლისათვის სათბური აირების შთანთქმის პოტენციალის 10%-ით გაზრდა. ასეთი ზრდის მიღწევა შესაძლებელია საქართველოს ტყეებზე განსაკუთრებული ზრუნვის გარეშეც (ბუნებრივი განახლებისა და ბუნებრივი შემატების ხარჯზე).		დაკონკრეტება. რაც შეეხება ამბიციურობას, 10%-მდე შთანთქმის პოტენციალის გაზრდისათვის, გარდა ბუნებრივი შემატების ხელშეწყობისა, დაგეგმილია გატყიანბის და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა 270 000 ჰა ტყეზე, რომელიც ცალსახად ამბიციურია საქართველოსთვის
	ზოგადი, მუხლი 58	არსებული ფორმულირებიდან გამომდინარე, ძნელია ტექსტის მიზნის გარკვევა და ვფიქრობთ საერთოდ ამოსაღებია.	არ აისახა	აღნიშნული პარაგრაფი ადგენს კლიმატის სამოქმედო გეგმის განხირციცლების პერიოდს, რათა მოხდეს თითოეული სექტორისთვის გაწერილი მიზნების მიღწევა
	ზოგადი, მუხლი 62	სასურველია ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს ენდემური სახეობებისა და სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი აბორიგენული ჯიშების კონსერვაციას, შესაბამის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების გზით.	აისახა	
	ზოგადი, მუხლი 70, 71, 72	ვერ ვიზიარებთ 70, 71 და 72-ე მუხლების პათოსს. იმის გამო, რომ დოკუმენტი ორიენტირებული არაა კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიურ ჩართვაზე.	აისახა	

	ზოგადი	დოკუმენტი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ტოვებს სახელმძღვანელო დოკუმენტის (ე.წ. „გაიდლაინის“ შთაბეჭდილებას), სასურველია უფრო მეტი კონკრეტიკა ჩანდეს ქვეყანასთან მიმართებაში არა მხოლოდ სათბურის გაზების ემისიების შემცირების მიზნებთან დაკავშირებით (როგორ და რატომ იქნა მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება), **არამედ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან დაკავშირებითაც და ამ პრიორიტეტების კორელაცია სათბურის გაზების აირების შემცირების პროცესთან. რამდენადაც სათბურის გაზების ემისიები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის განვითარებასთან, დოკუმენტის შესავალი ნაწილი (ერთი-ორი პარაგრაფი მაინც) უნდა მიეძღვნას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხედვას და თუ როგორ განისაზღვრა ემისიების შესამცირების პრიორიტეტული სექტორები ამა თუ იმ ხედვაზე დაყრდნობით. იმის საფუძველზე, თუ რისკენ მიისწრაფის საქართველო, როგორი ქვეყანა უნდა გახდეს იგი: სატრანსპორტო ჰაბი, სატრანსპორტო დერეფანი, ფინანსური ჰაბი, მხოლოდ ტურიზმზე ორიენტირებული ქვეყანა, სოფლის მეურნეობის ექსპორტიორი, თუ რაიმე სხვა, უნდა გამოიკვეთოს სადაა მოსალოდნელი ყველაზე მეტად სათბურის გაზების ემისიების** ზრდა და შესაბამისად ამ სექტორებზე გაკეთდეს შემდეგ აქცენტი და დეტალიზაცია მე-4 თავში. სავარაუდოდ, ასეთი საკითხები დეტალურადაა გაანალიზირებული „კლიმატის სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტში, თუმცა კონცეპტუალურ დონეზე ამ დოკუმენტის შესავალშიც უნდა იყოს განხილული. აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს ტყის სექტორის როლი საქართველოს ენერგოსექტორში და ზოგადად	ნაწილობრივ აისახა	ტექსტი დაკორექტირდა, დოკუმენტს დაემატება ხედვა

		ეკონომიკაში და მკაფიოდ უნდა განიმარტოს, თუ რა რისკებთანაა დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ტყის სექტორი და მიწათსარგებლობა ამ დოკუმენტში არაა განხილული ანუ რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის დამატების შემდეგ. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა გადავიდეთ შემდგომ იმაზე, თუ რა (რამდენი) ვალდებულებების აღება შეუძლია ქვეყანას და რატომ. დეტალური შენიშვნები ამ საკითხებზე იხ. ქვემოთ შესაბამის სექციებში.		
	ზოგადი	დოკუმენტში მოცემულია რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ვალდებულება ემისიების შეზღუდვაზე (პარაგრაფები 1,2, 15 და 16) და არ ჩანს რას ეფუძნება ეს ვალდებულებები ან როგორ კავშირში არიან ერთმანეთთან.	ნაწილობრივ აისახა	დაემატა ნადართი მეთოდოლოგიების შესახებ. ასევე მოიხსნა დამატებითი ვალდებულებების ნაწილი (პიკი)
	ზოგადი	ზოგიერთი პარაგრაფის თარგმანი არასწორი და შესაბამისად გაუგებარია (იხ. ქვემოთ). სასურველია ყველგან ვიხმაროთ „ემისიების შემცირება“ ნაცვლად შერბილებისა.	აისახა	
	თავი 1 - მიზნები	პარაგრაფი 1 და 2 განსაზღვრავს ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებას 1990 წლის მიმართ. პრინციპულად არასწორად მიმაჩნია საბაზისო წლად, რომლის მიმართაც უნდა მოხდეს შემცირება, რომელიმე წარსული წლის დაფიქსირება, თუნდაც ითვლებოდეს, რომ ეს პიკი იყო ქვეყნისათვის (რიგირც ეს 1990 წლის შემთხვევაში ხდება). საბაზისო წლის შერჩევის მეთოდი ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო ქვეყნებს შორის მწვავე მოლაპარაკების საგანი და საბოლოოდ დადგინდა, რომ განვითარებად ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, შეუძლიათ არ დააფიქსირონ	არ აისახა	დოკუმენტი უპირობოდ იღებს - 35%იან შემცირების ვალდებულებას 1990 წელტან შედარებით, რაც გულიხსმობს 30,000გგ CO2. ამჟამად საქართველოს ემისიებია 17, 000გგ. ქვეყანაში არსებული პროცესების გათვალისწინებით (განსაკუთებით ენერგეტიკის მიმართულებით: ენერგო-

		კონკრეტული საბაზისო წელი ან პერიოდი და მოახდინონ შემცირება ბიზნესის/ეკონომიკის ჩვეულებრივი გზით (business -as-usual scenario) განვითარების სცენართან მიმართებაში. კონკრეტული საბაზისო წლის დაფიქსირება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, რომელთა გათვლა წინასწარ არაა ყოველთვის შესაძლებელი და მითუმეტეს ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ეკონომიკის განვითარების მიმართულებები. ამიტომ ბევრად უფრო ნაკლები რისკის შემცველია შეფასდეს ემისიების შემცირების რაოდენობა პროგნოზირებული „ჩვეულებრივი გზით“ განვითარების შემთხვევის მიმართ და ითქვას, რომ „თუ ეს ასე მოხდა ეს იქნება 1990 წელთან შედარებით ?? %“ ანუ ვალდებულებას ქვეყანა იღებს განვითარების საპროგნოზო პერიოდის (2015-2030) ანდა წლის 2030 მიმართ, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია შეფასდეს თუ როგორია ეს შემცირება (კიდევ ვიმეორებ თუ ამ სცენარით მოხდა განვითარება) 1990 წლის მიმართ. მინდა განვმარტო, რომ 1990 წელი მკაცრად დაფიქსირებულია, რადგან ის წარსულში უკვე იყო და ვეღარ შეიცვლება, ხოლო პროგნოზის მნიშვნელობა (ვთქვათ 2030 წლისათვის) არის მომავლის შეფასება, რომელის მოხდენის ალბათობა ჩვენზე არაა დამოკიდებული და არც 100%-ია, ის შესაძლებელია შეიცვალოს დოკუმენტის ყოველ ჯერზე განახლების შედეგად.		ეფექტურობის კანონი, შენობების ეფექტურობის კანონი, სერტიფიცირება და ა.შ) ქვეყანა შეძლებს 2030 წლამდე მისი ემისიები არ გაიზარდოს იმაზე მეტად ვიდრე 13 ,000 ანუ ქვეყანა იტოვებს იმის შანსს რომ ეკონომიკური ზრდას პრობლემა არ შეექმენა ვინაიდან ვალდებულების შესრულების შემთხვევაშიც შესალებელია დღევანდელი ემისიების თითქმის გაორმაგება გარდა ამისა გასათვალისწინებელია საერთაშორისო პროცესები, ევროკავშირთან ასოცირების პროცესი და მეზობელი ქვეყნების (განსაკუთრებით აღმ. პარტნიორობის ქვეყნები) სადაც იგივე პროცესები მიმდინარეობს და მათი NDC-ებიც. საქართველო ვერ იქნება რეგიონში ყველაზე ნაკლებად ამბიციური ქვეყანა, რადგან აღნიშნული იარყოფითად აისახება ქვეყნის რეპუტაციაზეც
თავი 1 - მიზნები, პარაგრაფი 2	მაგალითისათვის განვიხილოთ მე-2 პარაგრაფში მოყვანილი პირობიანი ვალდებულების შეფასება,	არ აისახა	პირობთი ვალდებულებები	

		რომელიც ფორმულირებულია როგორც 50-57% -ით შემცირება 1990 წელთან შედარებით. დავუშვათ და დაგვეხმარენ დონორები ამ გეგმის განსახორციელებლად და 45,000 გგ CO2(1990) უნდა დავიყვანოთ მინიმუმ (50%-ის შემთხვევა) 22,500 გგ CO2(2030 -სთვის). ჩემს ხელთ არსებული პროგნოზი 2030 წლისათვის არის 30,886 გგ CO2 (2030) და პირობითი შემცირების შემთხვევაში 26,546 გგ CO2 (2030). ეს რიცხვები საკმაოდ შორსაა (4-7 მილიონი ტონით) დასახულისაგან. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ძალიან მკაფიო ხედვა, თუ რა არის რეალურად განხორციელებადი ქვეყანაში და რა არა, თუნდაც დიდი ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში (მაგ. ჰესები).		დაყოფილია 57-50%-ად, რაც გულისხმობს 27,000-23,000 გგ. აღნიშნული მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა მიირებს მნიშვნელოვან საერთაშორისო დაფინანსებას
	თავი 1 - მიზნები, პარაგრაფი 2	იგივე პარაგრაფ 2-ში 1990 წელთან მიბმული პირობიანი ვალდებულება, 50-57% შემცირების შესახებ, ასევე დაკავშირებულია 20C და 1.5 0C-ით ტემპერატურის ზრდასთან, რაც შესაძლოა ყველასათვის არ იყოს გასაგები და უნდა განიმარტოს მკითხველისათვის. ეს დაკავშირებულია დამატებით ინვესტიციებთან, თუ რასთანაა კავშირში, გარდა იმისა რომ შესაბამისი პროცენტით შემცირებაა საჭირო ყველა ქვეყნის მიერ, რომ შევჩერდეთ 20C ან 1.5 0C-ზე. ცალკე განხილვის და მსჯელობის საგანია, თუ რას ნიშნავს 50 ან 57%-ით შემცირება ისეთი ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკა ძალიან სუსტია და იგი ზრდის პროცესშია და ისეთი ქვეყნისათვის, რომელსაც უკვე აქვს მძლავრი ეკონომიკა, კარგადაა განვითარებული და უბრალოდ უფრო მოწინავე ტექნოლოგიებით უნდა გადაიარაღდეს.	ნაწილობრივ აისახა	დაემატა უპირობო და პირობითი ვალდებულების დაანგარიშების მეთოდოლოგია

	თავი 1 - მიზნები, პარ. 4	პარაგრაფი 4, რომელიც ეხება მოწყვლადობას და ადპტაციას, ასევე ძალიან ზოგადი დებულებების შთაბეჭდილებას ტოვებს. საქართველო 1997 წლიდან სწავლობს და ადგენს, რომელი სექტორები და რეგიონებია საქართელოში ყველაზე მოწყვლადი და სადაა პირველ რიგში საჭირო დახმარება და ინვესტიციები. ესაა: მაღალმთიანი რეგიონები (მითუმეტეს იმ ქვეყნისათვის სადაც ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტი მთის ტურიზმია), შავი ზღვის სანაპირო ზონა (მითუმეტეს იმ ქვეყნისათვის სადაც ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტი ზღვის ტურიზმია) და სოფლის მეურნეობა. აქედან, სოფლის მეურნეობაში პროცესები შედარებით ნელა მიდის და სწორი დაგეგმარების და მართვის შემთხვევაში შედარებით ადვილია მაღალი რისკების თავიდან აცილება ან განეიტრალება, მაშინ როდესაც მაღალმთიან რეგიონებში და ზღვის სანაპირო ზონაში სხვადასხვა ტიპის მიწის ეროზიებთან ბრძოლა ბევრად რთულია, ხშირად პროცესები სრულიად მოულოდნელი, უმართავი და დიდი ზარალის მომტანია. შესაბამისად ტექსტში უნდა ჩანდეს რა არის პრიორიტეტები ქვეყნისათვის, სადაც კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება უნდა იყოს ამ დოკუმენტის პრიორიტეტი და არა ისევ შესწავლის ფაზა. დოკუმენტში წარმოდგენილი ფორმულირებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში აქამდე არაფერი არ შესწავლილა კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მიმართულებით და ამ დოკუმენტის წარდგენის ეტაპზე ქვეყანამ არ იცის სად, რომელ სექტორებში აქვს ადაპტაციის პრიორიტეტები. ადაპტაციის ნაწილი შედარებით დაკონკრეტებულია მე-	აისახა	

		5 სექციაში, მაგრამ მაინც სათანადოდ არ ასახავს პრიორიტეტებს.		
	თავი 2 - მოქმედების არეალი, პარ. 9	ფარაგრაფში 9 ჩამოთვლილია ისეთი სათბურის აირები, რომლებიც ამ ეტაპზე არ განიხილება საქართველოში და არ შედის ინვენტარიზაციაში. ამ ახალი გაზების დათბობის პოტენციალი ძალიან მაღალია და მათ შეუძლიათ მკვეთრად გაზარდონ ემისიების სურათი საქართველოში მათი არსებობის შემთხვევაში, ისევე როგორც ტყეები ცვლიან ამ სურათს. ამიტომ, ალბათ უფრო ლოგიკური იქნება გაზების ჩამონათვალში დავტოვოთ მხოლოდ ის გაზები, რომლებიც განხილულია 2030-ის პროგნოზში, შემცირების აქტივობებში, „კლიმატის სამოქმედო გეგმაში“ და საერთოდ სათბურის გაზების ემისიებში.	არ აისახა	დოკუმენტის განხორციელების პერიოდში აღნიშნულ აირებზე ანგარიშგება იქნება დამატებული, ამიტომ მნიშვნელოვანია NDC მათი ასახვა
	თავი 2 - მოქმედების არეალი, პარ. 10	მე-10 პარაგრაფი ფაქტიურად ნაწილია იმ „ფუთნოუთის -2“, რომელიც გაკეთდა მე-8 პარაგრაფისათვის/ტყეებისათვის და იქ უნდა გაერთიანდეს, ხოლო ფარაგრაფ 11-თან დაკავშირებით იხ. ჩემი შენიშვნა პარაგრაფ 4-თან დაკავშირებით. ტურიზმი და ინფრასტრუქტურა შესაბამისად უნდა დაკომბინირდეს ჩემს შენიშვნასთან, რომელიც ეხება მე-4 ფარაგრაფს. რაც შეეხება ჯანდაცვის სექტორს, იგი, როგორც ასეთი ცალკე აღებული (ტურიზმის გარეშე), საქართველოში არაა პირველი კატეგორიის მოწყვლადობისკენ მიდრეკილი, როგორც ეს ცენტრალური ევროპის ქვეყნებშია თბურ ტალღებთან მიმართებაში.	აისახა	
	თავი 2 - მოქმედების არეალი, პარ. 15	პარაგრაფი 15 გაუგებარია და იძლევა შთაბეჭდილებას, რომ ეს კიდევ ერთი დამატებითი ვალდებულებაა. ჩემს ხელთ არსებული გათვლებით 2021-2030 წლებში	აისახა	

		ჯამური ემისია 263,116 გგ CO2ეკ. და ჯამური ემისიის პიკი გაუგებარია რას ნიშნავს. ინგლისური ვერსიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ თარგმანშია უზუსტობა და ალბათ უნდა იყოს, რომ „ემისიის პიკი საქართველოსათვის უნდა დაფიქსირდეს ის პიკი, რომელიც მოხდება 2021 და 2030 წლებს შორის (და არა 1990 წელი), რაც შეესაბამება ამ დოკუმენტის განხორციელების პერიოდს. ანუ ამ პერიოდში დაფიქსირდება მაქსიმუმი, რომელსაც მერე აღარ ავცდებით არასდროს და რაც გაუგებარია, თუ რატომ იღებს ქვეყანა ასეთ მკაცრ და გაუაზრებელ ვალდებულებას, რატომ ვფიქრობთ, რომ პიკი სწორედ ამ პერიოდში იქნება სადაც საშუალო წლიური ნამატი დაახლოებით 800 გგ-ია, ხოლო 2011-ში 2,300 გგ გვქონდა წლიური ნაზრდი.		
	თავი 2 - მოქმედების არეალი, პარ. 16	პარაგრაფი 16-იც გაუგებარია და უნდა გასწორდეს. როგორც ჩანს ეს კიდევ ერთი დამატებითი ვალდებულებაა. აქ თარგმანიც გასასწორებელია. ლაპარაკია, რომ თვითონ ეს პერიოდი 2021 -2030 აფიქსირებს პიკს 1 სულზე, თუმცა არ აზუსტებს (ყოველ შემთხვევაში გაუგებარია) რა პერიოდზეა საუბარი? ქართულ თარგმანში წერია 1990-დან 2030-მდეო. ეს პარაგრაფი გასავლელი და დასაზუსტებელია და ალბათ სავარაუდოდ ამოსაღები, მაგრამ რატომ ამოსაღები ამის დასადასტურებლად საჭიროა ზუსტად გავიგოთ რაზეა საუბარი.	აისახა	
	თავი 2 - არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა, პარ. 18-23	პარაგრაფები 18-23 განმარტავს საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართულებით არსებულ სხვადასხვა სტრუქტურებს და მათ როლს კლიმატის ცვლილების სფეროში ვალდებულებების განხორციელებაში, მაგრამ დოკუმენტი არ ამბობს	არ აისახა	დოკუმენტის ფორმატი არ მოიცავს პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრას. ხოლო დოკუმენტის 20 პუნქტით განსაზღვრულია

		მკაფიოდ, თუ ვინ აგებს სახელმწიფოში პასუხს ამ დოკუმენტში განხილული ვალდებულების აღებასა (1990 წელი იქნება საბაზისო, თუ 2015-2030 პერიოდი, თუ 2030 წელი) და რა თქმა უნდა მის წარმატებულად განხორციელებაზე. აქამდე მომზადებული განვითარების სტრატეგიების და სხვადასხვა სამოქმედო გეგმების ვერ შესრულებამ ნათლად დაგვანახა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს ერთი პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციას უწევს დანარჩენ განმახორციელებელ სტრუქტურებს. 2020 წლის იანვარში საქართველოში შეიქმნა „კლიმატის ცვლილების სამთავრობო საბჭო“ (ეს არაა პიველი ორგანო, რომელიც ამ მიმართულებით შეიქმნა და ვერცერთმა ვერ იმუშავა) და ჩემი აზრით, სწორედ ეს საბჭო უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ დოკუმენტით აღებული ველდებულებების განხორციელებას, რადგან კლიმატის ცვლილება ეხება ყველა დარგს და როგორც გამოცდილებამ აჩვენა ერთი ცალკე აღებული სამინისტრო ვერ ანხორციელებს და ვერც კოორდინაციას უწევს სხვა სამინისტროების საქმიანობას. პასუხისმგებელი სტრუქტურა უნდა იყოს თითოეულ სამინისტროზე მაღლა მდგომი, რათა მოახდინოს სამინისტროების კოორდინაცია. ანუ ჩაიწეროს სადმე რომ მაკოორდინირებელი იქნება საბჭო?		მაკოორდინირებელი გარემოს დაცვისა და სოფლიე მეურნეობის სამინისტრო. ასევე 21 პუნქტით განსაზღვრულია სამთავრობო საბჭო, რომლის მანდატიც (დებულებით განსაზღვრული) არის ndc განხორციელებაში ჩართულობა.
	თავი 2, ქვეთავი 2.2 - ეკონომიკური პროფილი	პარაგრაფებში 24-30 მოყვანილი ინფორმაცია წინ უნდა უძღოდეს აღებულ ვალდებულებებზე მსჯელობას, ანუ უნდა ჩანდეს ამ ორ შორის კავშირი (იხ. კომენტარი ზემოთ). მაგალითი რომ განვიხილოთ, ერთ-ერთი პარაგრაფი ამბობს, რომ გათვალისწინებულია	არ აისახა	NDC-ის დოკუმენტში ვერ იქნება ასახული კორელაციები სხვადასხვა მაკროეკონონომიკურ ცვლადებს შორის მისი ფორმატიდან გამომდინარე

		ვაჭრობის 71%-იანი წილი მშპ-ში და ის რომ იმპორტი მაღალია ექსპორტთან შედარებით, მაგრამ აქვე თუ არ დავამატეთ მოკლედ ეს როგორ აისახება ემისიებზე ანუ სადაა კორელაცია, ანუ კორელაცია არის რომ ემისიები დაბალია სანამ ექსპორტი დაბალია? ადგილობრივი წარმოების გაზრდის შემთხვევაში ეს სიტუაცია შეიცვლება? რას ნიშნავს გათვალისწინებულია, ისე ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარია. ასევეა ყველა სხვა ეკონომიკური მდგენელი/პარამეტრი, რომელზეც ვამბობთ, რომ კავშირშია ემისიებთან და ვითვალისწინებთ, მაგრამ არაა დაზუსტებული რა კავშირზეა საუბარი. ასეთი ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს დანართის სახით წარმოდგენილი, რომ მკითხველი მიხვდეს, როგორაა გათვალისწინებული ესა თუ ის ეკონომიკური მდგენელი ემისიის საპროგნოზო სცენარში. ამ სახით, როგოც ეხლაა ეს ინფორმაცია არაინფორმატიულია და შესაბამისად გაუგებარი. ერთად-ერთი რაც კარგად ჩანს გრაფიკზე, არის მშპ-სა და ემისიებს შორის კორელაცია.		
	თავი 2, ქვეთავი 2.2 - ეკონომიკური პროფილი	პარაგრაფი 28 ცოტა გაუგებარია მთელი დოკუმენტის კონტექსტში და კერძოდ ის, რომ როგორც ეს პარაგრაფი ამბობს ბოლო 18 წლის მანძილზე წლიური ნაზრდი 4.3%-ია, მაშინ როდესაც პარაგრაფი 14 ამბობს, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე წლიური ნაზრდი იყო 5.7% ე.ი. წლიური ნამატის ზრდა გვაქვს 1%-ზე მეტი. შემდგომ პარაგრაფი ამბობს, რომ ეს 5.7%-იანი ზრდა უნდა შევზღუდოთ 3%-დე-ეს სადაა ვერ ვნახე. მე მიმაჩნია, რომ ეს ზედმეტად ამბიციურია ქვეყნისათვის და მისი რეალურად განხორციელება ალბათ შეუძლებელი იქნება, თუ ისევ რაღაც კატაკლიზმა არ	აისახა	

		მოხდა. თუმცა საინტერესო იქნებოდა იმ კონკრეტული სექტორების ჩამონათვალის ნახვა, რომელთა ასეთ მკაცრ შეზღუდვასაც ვაპირებთ და კონკრეტულად რა ღონისძიებებით და მართლა მოგვცემს თუ არა ჯამში ეს არა უმეტეს 3%-ისა.		
	თავი 2, ქვეთავი 2.2 - ეკონომიკური პროფილი	პარაგრაფ 30-ის სადემონსტრაციოდ კარგი იქნებოდა თითოეული აქ ჩამოთვლილი სექტორისათვის მომზადდეს გრაფიკი, რომელზეც დავინახავთ მშპ-ში სექტორის წილის ზრდა, როგორ გავლენას ახდენს ამ სექტორიდან ემისიებზე და სავარაუდოდ ჩამონათვალი უნდა დაიწყოს ენერგეტიკის სექტორით და დალაგდეს დანარჩენი სექტორები ემისიებში მათი წვლილის მიხედვით.	არ აისახა	წარმოდგენილი დოკუმენტი არის ჩარჩო დოკუმენტი, მისი ფორმატი არ ითვალსიწინებს აღნიშნულ ინფორმაციას, ასევე ამ შემთხვევაში დოკუმენტი მნიშვნელოვნად გადაიტვირთება. აღნიშნული საკითხი ასახულია კლიმატის სამოქმედო გეგმაში რომელიც წარმოადგენს NDC განხორციელების გეგმას
	თავი 2, ქვეთავი 2.2 - ეკონომიკური პროფილი	ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის 20%-ზე მეტი (დანართი 7.3) მიგრაციაშია, 2030 წლისათვის ისეთივე რაოდენობის დაშვება არამგონია სწორი იყოს. არსებობს საერთაშორისო კვლევები, რომლებსაც აქვთ მოსახლეობის ზრდის პროგნოზები სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით და ალბათ შესალებელია ამ მონაცემის გამოყენება პროგნოზის გაკეთებისას. ასვე რისკების შემცირების მიზნით უპრიანი იქნებოდა მიგრაციაში მყოფი მოსახლეობის გათვალისწინებით ალტერნატიული სცენარის გაკეთება და ამის შემდეგ მსჯელობა ფარაგრაფ 16-ზე, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე აკეთებს მაქსიმუმის დაფიქსირებას.	აისახა	

	თავი 2, ქვეთავი 2.3 - გეოგრაფიული პროფილი	პარაგრაფში 41 უნდა იყოს, „ექსტრემალური ამინდის და მასთან დაკავშირებული გეოლოგიური მოვლენები“ ან უბრალოდ „ესქტრემალური გეოლოგიური მოვლენები“. საქართველოში ამინდის ექსტრემალური მოვლენები ძირითადად გეოლოგიის გავლით ახდენს გავლენას და არა პირდაპირ როგორც ეს ქარიშხლების და ცუნამების დროსაა. ალბათ ამიტომაა შეტანილი გეოგრაფიულ პროფილში.	აისახა	
	თავი 2 - კლიმატური პროფილი	წარმოშობს „მაღალი რისკების შემცველ ცვლილებებს“, თვითონ ცვლილება შეიძლება დადებითიც იყოს და არაა ყოველთვის საფრთხის შემცველი. უარყოფით...	აისახა	
	თავი 3 - სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის სისტემა	პარაგრაფი 46 „პარამეტრების არარსებობის გამო“. პარაგრაფ 47-ში და ყველგან უმჯობესია „წყარო-კატეგორია“ ვიხმაროდ უბრალოდ „კატეგორიის“ ნაცვლად. პარაგრაფი 49 შესაბამისობაში უნდა იყოს პარაგრაფ 9-სთან.	აისახა	
	თავი 3 - სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის სისტემა	პარაგრაფებში 50-58 წარმოდგენილი სექტორული სამიზნე მაჩვენებლები შემცირებებთან დაკავშირებით ისეთივე ზოგადია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და ფაქტიურად შეუძლებელია დაკომენტარდეს (მითუმეტეს ვალდებულებების აღების კონტექსტში) „კლიმატის სამოქმედო გეგმის“ გარეშე, რომელშიც სავარაუდოდ სწორედ ეს შემცირების პროცენტები, შესაბამისი პოლიტიკა და კონკრეტული ღონისძიებებია განსაზღვრული. სასურველია პარაგრაფებში 51 და 53 ჩანდეს რა არის შემცირების პოლიტიკის ძირითადი ელემენტები. ყველა დანარჩენ პარაგრაფში არის ნახსენები შემცირების მიდგომები, მაგრამ ყველგან	აისახა	

		ერთიდაიგივე (ტექნოლოგიები) მეორდება, არსად არაა რეგულაციები? ან სხვა ინსტრუმენტები?		
	თავი 3 - სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის სისტემა	პარაგრაფი 57 გაუგებარია, რადგან დასაწყისში ისე წერია (ყოველ შემთხვევაში მე ასე ვიგებ), რომ ტყეები არაა განხილული ამ ვალდებულებაში, რადგან 2030-ის პროგნოზი ტყეების გარეშეა (ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით). თუ ტყეები შედის, ეს დოკუმენტი შესაბამისად უნდა გასწორდეს და ნათელი იყოს მკითხველისათვის.	აისახა	
	თავი 4 - ადაპტაცია	მე პირველ ადგილზე გავიტანდი მთის ეკოსისტემებს და მიწის დეგრადაციას ზღვის სანაპირო ზოლის ჩათვლით, მერე სოფლის მეურნეობას. ეკონომიკის სექტორებიდან ტურიზმს და ენერგეტიკას.	აისახა	
	მუხლი 41	**შემოთავაზებული განახლებული ფორმულირება:** 41. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი ხაზს უსვამს მაღალმთიანი ტერიტორიების მოწყვლადობას, მათ შორის იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მთიანი ტერიტორიის უმეტესობაზე, განსაკუთრებით ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე დიდ გავლენას ახდენს ექსტრემალური ამინდის პირობები და ბუნებრივი კატასტროფები. 41. the updated NDC of Georgia underlines the vulnerability of the high mountain areas of the country,given the fact among others, that most of the country's mountain areas, especially those with 1,000 meters elevation above sea-level are greately affected by extreme weather conditions and natural disasters	არ აისახა	ბუნებრივი კატარსტოფები ექსპრემალური ამინდის შედეგია. შესაბამისად ექსპტრემალური ამინდი მოიცავს ბუნებრივ კატასროფებსაც
	მუხლი 61	**შემოთავაზებული განახლებული ფორმულირება:** 61. საქართველო გეგმავს, შეაფასოს კლიმატის ცვლილების ეფექტი მთების ეკოსისტემებზე და	ნაწილობრივ აისახა	შეფასების მიდგომები დაზუსტდება პროცესში

		ეკოსისტემურ სერვისებზე, ასევე მყინვარებსა და მთიან ლანდშაფტებზე. საქართველო აგრეთვე გეგმავს, შეაფასოს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მთის ეკონომიკასა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ინტეგრირებული/მდგრადი რეგიონული და ტერიტორიული/სივრცითი დაგეგმვის მიდგომების გამოყენებით. 61. Georgia intends to assess climate change impact on the mountain ecosystemsand its services, as well as on glaciers and mountainous landscapes ranges. Georgia also intends to assess climate changeimpat on on the mountain economy and at the living standars of the local population using intergrated/sustainable, regional and territorial/spatial planning approaches.		
	მუხლი 62	**შეთავაზებული განახლებული ფორმულირება:** 62. საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს ენდემური სახეობებისა და სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი აბორიგენული ჯიშებისკონსერვაციას, შესაბამის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების გზით. 62. Georgia intends to encourage the conservation of endemic species, as well as aboriginal varieties important for food and agriculture, through the projection of climate change impact on the appropriate ecosystems.	აისახა	
	მუხლი 64	**შეთავაზებულიგანახლებულიფორმულირება:** 64. საქართველო გეგმავს შეაფასოს იმ სასოფლო-სამეურნეო წარმოებების მოწყვლადობის დონე, რომლებსაც ყველაზე დიდი წილი აქვთ მშპ-ში (მაგ. ყურძენი, თხილი) ან/და ქვეყნის უნიკალური პროდუქტის წარმოებისთვის, მაგალითად, როგორიცაა ქართული თაფლი. აღნიშნული პროცესი	აისახა	

	განხორციელდება კლიმატის პარამეტრების ცვლილებისა და ინფექციების გავრცელების ალბათობის შეფასებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასურსათო უსაფრთხოება.		
მუხლი 65	**შეთავაზებული განახლებული ფორმულირება:** 65. საქართველო გეგმავს, განავითაროს ადაპტაციის შესაძლებლობები ზამთრისა და ზაფხულის ყველაზე მოწყვლადი კურორტებისთვის. 65. Georgia intends to develop adaptive capacity of the most vulnerable winter and summer resorts.	აისახა	
მუხლი 67	**შეთავაზებული განახლებული ფორმულირება:** 67. საქართველო გეგმავს, ხელი შეუწყოს ბუნებრივი საფრთხეებით და ექსტრემალური ამინდით გამოწვეული ზარალისა და ზიანის შემცირების ღონისძიებების განხორციელებას; და განიხილავს ბუნებრივი საფრთხეების შეფასებისა და რუკაზე დატანის ეროვნული მეთოდოლოგიის მიღებასა და ბუნებრივი საფრთხეების ერთიანი "ღია" ეროვნული სივრცული პლატფორმის შექმნას ამის ერთ-ერთ უპირველეს წინაპირობად. ϒ 67. Georgia intends to facilitate the measures supporting the reduction of losses and damages caused by natural hazards and extreme weather events; and considers adoption of a national natural hazards assessment and mapping methodology, and establishment of a unified open-source national natural hazard spatial platform as a key preconditions for it.	არ აისახა	დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული და ამ ეტაპზე არ იგეგმება აღნიშნული ვალდებულების აღება
1.1 მიზნები, მუხლი 3	შემარბილებელი (შემამსუბუქებლის ნაცვლად)	აისახა	
1.1 მიზნები, მუხლი 4	ადაპტაციის შესაძლებლობის შესაწავლის შემდეგ ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავება გატარებაც იქნება საჭირო	აისახა	

	1.1 მიზნები, მუხლი 4	სასურველი იქნებოდა, აქვე გაკეთდეს მითითება: "კლიმატის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტის ნაწილს და მოცემულია დანართის სახით"	არ აისახა	მხარეთა კონფერენცია არეგულირებს NDC შინაარსს და ამიტომ კლიმატის სამოქმედო გეგმა არ იქნება დოკუმენტის ნაწილი, თუმცა მოხდება მათი ერთად დამტკიცება
	1.4 მიზნები, მუხლი 8	ვფიქრობთ, სჯობია, იყოს "ენერგიის წარმოება". აქ ისედაც იგულისხმება ელექტროენერგია, როგორც წამყვანი დარგი	აისახა	
	1.4 მოქმედების არეალი, მუხლი 12	საფრთხე ემუქრება და ასევე, ეზღუდება ბუნერბივ რესურსებზე წვდომა	აისახა	ტექსტი დაკორექტირდა
	1.4 მოქმედების არეალი, მუხლი 12	ვფიქრობთ, არსებული ვორდინგი: "ისინი, ვისაც კლიმატის ცვლილების გამო საფრთხე ემუქრება" შეიცვალო და ჩაიწეროს: "ან ბუნებრივი კატასტროფების რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობა"	არ აისახა	ბუნებრივი კატასროფა შეიძლება იყოს არაკლიმატური, რომელიც არ განიხილება ამ დოკუმენტში
	2.1 მთვარობის სტრუქტურა, მუხლი 20	ამ მიმართულებით ქვეყანას არ აქვს ხედვა და პოლიტიკა? ახალის შექმნაზეა საუბარი თუ დახვეწაზე განახლებაზე?	აისახა	
	2.3 მოსახლეობა და მოწყვლადი ჯგუფები, მუხლი 33	კარგი იქნება ასეთივე პუნქტი თუ იქნება ქალებთან მიმართებაში, რადგან ამ ტიპის ინტერვენციასაც ექნება პოზიტიური გავლენა იგივე ბავშვებზე	აისახა	
	2.3 მოსახლეობა და მოწყვლადი ჯგუფები, მუხლი 36	როგორც ერთერთი მწოყვლადი ჯგუფი, ასეთვიე პუქნტი შეიძლება ჩამოყალიბდეს ქალებზე	არ აისახა	დოკუმენტში ცალკეა გენდერის ქვეთავი, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ინფორმაციას
	2.3 მოსახლეობა და მოწყვლადი ჯგუფები, მუხლი 38	წყალი თავად დაავადებებს არ იწვევს. ალბათ წყლის დაბინძურებით გამოწვეული ან წყალზე ხელმიუწვდომლობის გამო	აისახა	
	2.3 მოსახლეობა და მოწყვლადი ჯგუფები, მუხლი 39	ქრონიკულ დაავადებებთან ერთად აქ ეპიდემიების ფაქტორის შეტანაც იქნებოდა კარგი	აისახა	

2.3 მოსახლეობა და მოწყვლადი ჯგუფები, მუხლი 41	დაემატოს: "დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ეს კოსისტემების მდგრადობა და ექსტრემალური ამინდის პიროებები"	არ აისახა	აღიშნული ტექსტი წაიშალა დოკუმენტიდან
თავი 4 სათბური აირების შემცირება	ამავე თავში ხომ არ უნდა იყოს ამ დოკუმენტის მე10 პუნქტი ნახშირბადის მარაგების დათვლის შესახებ	არ აისახა	9-10 პარაგრაფები ერთმანეთს ებმის, ვინაიდან 9 არის ემისიები 10 მშთანთქმელი
თავი 4 სათბური აირების შემცირება, მუხლი 56	აქ ცალსახად უნდა მიეთითოს სეპარაციის პრაქტიკისა და ზოგადად, ცირკულალური ეკონომიკის პრინციპების ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობა	აისახა	
თავი 4 სათბური აირების შემცირება, მუხლი 57	"სატყეო დარგთან მიმართებაში საქართველოს ამბიციური გეგმა, მათ შორის, დამყარებულია 52–ე და 53–ე პუნქტების წარმატებულ განხორციელებაზე, რასაც ასევე უნდა მოჰყვეს ტყის ენერგეტიკული პოტენციალის მდგრადი გამოყენება და ტყეებზე არსებული ენერგეტიკული ზეწოლის შემცირება". ამ გარემოების გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ 57–ე პუნქტი დაილინკება წინამდებარე პუნქტებთან, თუნდაც კომენტარში წარმოდგენილი ვორდინგით	არ აისახა	აღნიშნული საკითხები კვეთაშია, თუმცა ვალდებულება მოიცავს მხოლოდ ტყის სექტორს. რეკომენდირებულია ვალდებულების მარტივი სახით წარმოჩენა
თავი 4 სათბური აირების შემცირება, მუხლი 57	42-ე პარაგრაფში წერია შეინარჩუნოსო არსებული შთანთქმის პოტენციალიო. მაშინ იქ დაემატოს გაზრდაც.	აისახა	
თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 61	ვფიქრობთ, "მყინვარებისა და მთათა სისტემების მდგრადი მართვა" უნდა შეიცვალოს "მდინარეთა აუზების მდგრადი მართვით". "მდინარეთა აუზში" მოიაზრება როგორც მყინვარები, ასევე, მთათა სისტემები, მართვის კუთხით კი, მდინარეთა აუზის მართვა უფრო აპრობირებული ტერმინია, ვიდრე მყინვარების და მთათა სისტემების მართვა	არ აისახა	მთათა სისტემების მოწყვლადობა დამკვიდრებული ტერმინია კონვენციის მოლაპარაკებების პროცესში დასადაც განიხილება სხვადასხვა ინიციატივები, სააუზო მართვა არის უფრო ფართო საკითხი და სცდება მყინვარების და კლიმატის ცვლილების კორელაციას

	თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 62	ამ კონტექსტიდან სიტყვა "ენდემური" ამოსაღებია. თუ გვინდა აქცენტი ენდემურ სახეობებზე, შესაძლოა პუნქტის ბოლოს გაკეთდეს მინაწერი, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ენდემურ სახეობებს. არსებული შინაარსით, სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი მხოლოდ ენდემებია და კლიმატის გავლენაც მხოლოდ მათ ეხება	აისახა	
	თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 63	ტყეებზე კლიმატის ცვლილების ეფექტებს შორის მნიშვნელოვანია მავნებელ–დაავადებების გავრცელება, რამაც ბოლო დროს ქვეყანაში ძალიან მძიმე ხასიათი მიიღო (წიწვოვნები, ფოთლოვნები, ბზა...); ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯები იდგმება და სასურველია, რომ გეგმაშიც იყოს ცალკე პუნქტად გამოყოფილი	არ აისახა	აღნიშნული საკითხი ზოგადი ფორმით ასახულია ადაპტაციის ნაწილში
	თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 64	სასურველია, უნიკალურ პროდუქტებში, თაფლთან ერთად, მივუთითოთ ტყის არამერქნული პროდუქტებიც, რომლის კომერციული სარგებლობაც ტყის ახალი კოდექსით განისაზღვრა, სოფლის განვითარების სტრატეგიამ კი ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის პროგრამების შესაძლებლობები გააჩინა	აისახა	
	თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 64	როგორც სახეობათა კონსერვაცია, ასევე საკვების უსაფრთხოება	აისახა	
	თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 64	რატომ მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო მიმართულებები, რომლებსაც მშპ-ში მაღალი წილი აქვთ? სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დარგები არსებობს, რომელთა მოყწვლადობის შეფასებაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა (მაგალითად მარცვლეულის წარმოება, ან თუნდაც მესაქონლეობა, რომლის	არ აისახა	დოკუმენტის ფორმატი არ საჭიროებს მოწყვლადობის შეფასების დეტალურ ჩაშლას, ადაპტაციის გეგმა რომლის მომზადებაც დაგეგმილია სამინისტროს მიერ

	განვითარების საფუძველს მარცვლეული და ბუნებრივი საძოვრები წარმოადგენენ (ეს უკანასკნელიც საკმაოდ მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ, შესაბამისად მესაქონლეობაც)		შეძლებისდაგვარად მოიცავს ყველა სექტორს
თავი 5 ადაპტაცია, მუხლი 67	ექსტრემალური ამინდით და ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადობის შემცირებით გამოწვეული	არ აისახა	ზარალი და ზიანი გამოყენებულია კონვენციის ტერმინოლოგიის მიხედვით, რაც მოიცავს ყველა კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებს
თავი 6 გენდერი, მუხლი 71	და წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების	აისახა	
თავი 5 ადაპტაცია მუხლი 64	მცენარეთა დაავადებებს თუ ვგულისხმობთ სიტყვა "დაავადებები" ვიხმაროთ	არ აისახა	იგულისხმება არა მხოლოდ მცენარეთა დაავადებები არამედ სხვადასხვა ინფექციები
თავი 5 ადაპტაცია მუხლი 64	"სასურსათო უსაფრთხოება" და არა "საკვების უსაფრთხოება"	აისახა	
ტერმინოლოგიური კომენტარები			
არის	**უნდა იყოს**	**ასახვა**	
შემამსუბუქებელი	შემარბილებელი	აისახა	
განახლდეს...ხელახლა დაითვალოს	გადაითვალოს...გადაითვალოს	აისახა	
აზოტის (I) ოქსიდი	აზოტის ქვეჟანგი	აისახა	
ოპერირების	ამოქმედების	აისახა	
რეალური მშპ	რეალური მშპ ზრდა	აისახა	
შემუშავების პროცესში	ფარგლებში	აისახა	
ტყეების	ტყეების მიერ	აისახა	
ემისიების ფაქტორების	ემისიის ფაქტორების	აისახა	

	მეთოდების (მრავალდონიანი მიდგომა)	მეთოდების/დონის	აისახა	
	ემისიების ფაქტორების	ემისიის ფაქტორების	აისახა	
	ეროვნული არსებული	არსებული ეროვნული	აისახა	
	მშთანთქმელების	შთანმთქმელების	აისახა	
	მშთანთქმელების	შთანმთქმელების	აისახა	
	2024 წლისთვის წყაროებიდან ანთროპოგენური ემისიებისა და სათბურის აირების მშთანთქმელების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშების მეშვეობით	სათბურის გაზების ემისიების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშებში 2024 წლისათვის	აისახა	
	ოქსიდები და	ოქსიდები და	აისახა	
	(NMVOC).	(NMVOC);	აისახა	
	რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს ჰაერის დამაბინძურებელი ემისიების ინვენტარიზაციასთან.	საქართველოს ჰაერის დამაბინძურებელი ემისიების ინვენტარიზაციის შესაბამისად	აისახა	
	საქართველომ, თითოეული სექტორისთვის სათბურის აირების შესაძლო შემცირების შეფასებით, განსაზღვრა სათბურის აირების შეზღუდვის სამიზნე მაჩვენებელი.	საქართველოს ეროვნული სათბურის გაზების შემცირების სამიზნე მაჩვენებლის საზღვრები განისაზღვრა თითოეული სექტორის რეალურად შესაძლებელი/მიღწევადი შემცირების რაოდენობებიდან გამომდინარე.	არ აისახა	აღნიშნული ვერსია უფრო გართულებული და ძნელად აღსაქმელია
	მეშვეობით	მიერ	აისახა	
	ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის გზით რაც თითოეული სექტორისთვის	იმისათვის, რომ განსაზღვროს ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებები სექტორული მიზნების მიღწევისათვის	არ აისახა	აღნიშნული ხდება ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრის გზით, ანუ წინ

	გაწერილი მიზნების მიღწევას განაპირობებს			უსწრებს ინდივიდუალური ღონისძიებების განსაზღვრა რაც აისახება კლიმატის ცვლილების სტრატეგია სამოქმედო გეგმაში
	საქართველო განიხილავს შესაძლებლობას, ვინაიდან მასწავლებელთა უმეტესობა დაწყებით და საშუალო კლასებში, უნივერსიტეტების ლექტორების 58%4 და ექიმების 65%5 ქალები არიან, გააძლიეროს ქალების, როგორც ცვლილების აგენტების, როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვით კლიმატის ცვლილებით განპირობებულ ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებითა და კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლების, შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების, ასევე, ცოდნის გაზიარების პროგრამების კუთხით, რომელთა მიზანიც ქცევებისა და მიდგომების შეცვლაა.	იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებელთა უმეტესობა დაწყებით და საშუალო კლასებში, უნივერსიტეტების ლექტორების 58%4 და ექიმების 65% ქალები არიან, საქართველო განიხილავს ქალების, როგორც ცვლილების აგენტების, როლის გაძლიერების შესაძლებლობას მათი ჩართვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ჯანდაცვის პრობლემების გადაჭრისას და საქმიანობებსა და პროგრამებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილების მიმართ ცნობიერების ამაღლება, შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება და ცოდნის გაზიარება, რომლებიც მიმართულია ქცევის შეცვლისაკენ.	აისახა	
	სახლებში	საცხოვრებელ სახლებში	აისახა	
	სათბურის აირების ემისიებისა და შთანთქმების დონეების განსაზღვრისთვის საქართველო	სათბურის აირების ინვენტარიზაციისთვის საქართველო კვლავ იყენებს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭოს (IPCC) 2006 წლის	აისახა	

	კვლავ იყენებს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭოს (IPCC) მიერ, სათბურის აირების ეროვნულ დონეზე ინვენტარიზაციის 2006 წელს შედგენილ სახელმძღვანელოსა და ამავე სახელმძღვანელოს 2013 წლის დამატებით დოკუმენტს: . ჭარბტენიანი ტერიტორიების , სათბურის აირების გამონაბოლქვისა და ემისიების ჩაჭერის შესაფასებლად	სახლემძღვანელოს სათბურის აირების ინვენტარიზაციისათვის და მის 2013 წლის დამატებას ჭარბტენიანი ტერიტორიებისათვის.		
	მოდელირების პროგრამის	მიდგომის (ხერხის)	არ აისახა	აღნიშნული წარდმოადგენს პროგრამას
	სამიზნე დონეების	შემცირების	აისახა	